თავი IV
საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანი სალდო, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილება

სახელმწიფო ბიუჯეტის 2014 წლის I კვარტლის შესრულების მაჩვენებლებიდან გამომდინარე საანგარიშო პერიოდში მთლიანი სალდო განისაზღვრა 51 655.9 ათასი ლარის ოდენობით.

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

1. საანგარიშო პერიოდში ფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვრა 208 579.6 ათასი ლარის ოდენობით.

2. ფინანსური აქტივების ზრდამ შეადგინა 227 365.8 ათასი ლარი.

ათას ლარებში

ფინანსური აქტივების ზრდა	3 თვის გეგმა	3 თვის საკასო შესრულება
	42,540.0	227,365.8
ვალუტა და დეპოზიტები	0.0	196,726.3*
სესხები	27,282.9	18,626.7
აქციები და სხვა კაპიტალი	15,257.1	12,012.8

ვალუტა და დეპოზიტებში 196 726.3* ათასი ლარი წარმოადგენს საანგარიშო პერიოდში ნაშთის დაგროვებას. გამომდინარე იქიდან, რომ 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით სახელმწიფო ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულმა ნაშთმა შეადგინა 287 146.2 ათასი ლარი, თავისუფალი საბრუნავი სახსრების ოდენობა 2014 წლის 1 აპრილისთვის განისაზღვრა 483 872.5 ათასი ლარით.

3. ფინანსური აქტივების კლებამ შეადგინა 18 786.2 ათასი ლარი.

ათას ლარებში

ფინანსური აქტივების კლება	3 თვის გეგმა	3 თვის საკასო შესრულება
	182,819.1	18,786.2
ვალუტა და დეპოზიტები	170,519.1	6,759.8*
სესხები	12,300.0	12,025.6
სხვა დებიტორული დავალიანებები	0.0	0.7

ვალუტა და დეპოზიტებში ასახული 6 759.8 ათასი ლარი წარმოადგენს წინა წლების გამოუყენებელი სახსრების დაბრუნებას და ხაზინის ანგარიშებზე აღრიცხულ სხვა თანხებს.

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

1. საანგარიშო პერიოდში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება განისაზღვრა 156 923.8 ათასი ლარის ოდენობით.

2. ვალდებულებების ზრდამ საანგარიშო პერიოდში შეადგინა 291 689.7 ათასი ლარი, მათ შორის:

- 63 898.9 ათასი ლარი - საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებიდან და სხვა სახელმწიფოების მთავრობებისგან მიღებული საინვესტიციო შეღავათიანი კრედიტები;
- 227 790.8 ათასი ლარი - საშინაო ფასიანი ქაღალდების რეალიზაციიდან მიღებული შემოსულობები;

ათას ლარებში

ვალდებულებების ზრდა	3 თვის გეგმა	3 თვის საკასო შესრულება
	321,867.0	291,689.7
საშინაო	195,000.0	227,790.8
ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	195,000.0	227,790.8
საგარეო	126,867.0	63,898.9
სესხები	126,867.0	63,898.9

ათას ლარებში

დასახელება	**საანგარიშო პერიოდის ფაქტი**
IFAD	1,302.4
WB	12,293.6
EBRD	14,150.7
ADB	19,476.1
EIB	839.4
იაპონია	15,217.8
გერმანია	618.9
სულ საინვესტიციო შეღავათიანი კრედიტები	**63,898.9**

2014 წლის პირველის კვარტლის განმავლობაში ჩატარდა ფასიანი ქაღალდების 10 აუქციონი, რომლებზეც რეალიზებული იყო სახაზინო ვალდებულება და სახაზინო ობლიგაცია 338 484.0 ათასი ლარის ნომინალური ღირებულებით, საიდანაც 44.1% იყო 12 თვის ვადიანობის მქონე სახაზინო ვალდებულებები, 34.7% იყო 2 წლის ვადიანობის მქონე სახაზინო ობლიგაციები, 18.3% იყო 5 წლის ვადიანობის მქონე სახაზინო ობლიგაციები და 2.9% - 10 წლის ვადიანობის მქონე სახაზინო ობლიგაციები.

საანგარიშო პერიოდში ფასიანი ქაღალდების რეალიზაციით მიღებულმა თანხამ შეადგინა 330 429.5 ათასი ლარი, დისკონტის თანხამ 8,057.0 ათასი ლარი, ხოლო ნომინალს ზევით გადახდილმა თანხამ 2.6 ათასი ლარი. ამავე პერიოდში დაფარულ იქნა 105 000.0 ათასი ლარის ნომინალური ღირებულების სახაზინო ვალდებულებები და ობლიგაციები, მათ შორის ძირითადმა თანხამ შეადგინა 102 636.1 ათასი ლარი. 2014 წლის 31 მარტის მდგომარეობით წმინდა ვალდებულების ზრდამ ძირითადი თანხის მიხედვით შეადგინა 227 790.8 ათასი ლარი. ეკონომიკის გრძელვადიანი რესურსით უზრუნველყოფის მექანიზმისათვის 2014 წლის I კვარტალში დაგეგმილი 50,000.0 ათასი ლარის ემისიის ნაცვლად, საქართველოს ეროვნულ ბანკთან შეთანხმებით გამოცხადდა 100,000.0 ათასი ლარის ემისია, საიდანაც რეალიზებულ იქნა 87 829.1 ათასი ლარის ოდენობით სახაზინო ობლიგაცია.

„საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 7 თებერვლის №176 განკარგულებით განისაზღვრა ეკონომიკის გრძელვადიანი რესურსით უზრუნველყოფის ხელშეწყობის მექანიზმისათვის სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების გამოშვების, მიმოქცევის, აღრიცხვის, დაფარვის და მიღებული ფულადი სახსრების განთავსების წესი. ეკონომიკის გრძელვადიანი რესურსით უზრუნველყოფის მექანიზმისათვის 2014 წელს დაგეგმილი 200 მლნ ლარის ემისიიდან საანგარიშო პერიოდში გამოცხადდა 50 მლნ ლარის 2 წლის ვადის მქონე (12.02.2014) და 50 მლნ ლარის 5 წლის ვადის მქონე (05.03.2014) სახაზინო ობლიგაციების ემისია, ხოლო განთავსდა შესაბამისად 43,917.0-43,917.0 ათასი ლარის ოდენობით. ფასიანი ქაღალდების რეალიზაციის შედეგად ბიუჯეტში შემოსული 330.4 მლნ ლარიდან ეკონომიკის გრძელვადიანი რესურსით უზრუნველყოფის მიზნით დამატებითი ემისიის შედეგად მიღებულმა თანხამ შეადგინა 87.8 მლნ ლარი. ეს თანხა სრულად განთავსდა ვადიანი დეპოზიტის სახით, სახაზინო ობლიგაციების მყიდველ თორმეტ კომერციულ ბანკში, კომერციული ბანკების მიერ ნაყიდი ფასიანი ქაღალდების ვადიანობის შესაბამისად, კუპონის განაკვეთს დამატებული 1 საპროცენტო პუნქტი.

ინფორმაცია 2014 წლის I კვარტალში გამოშვებული და დაფარული სახაზინო ვალდებულებები და სახაზინო ობლიგაციები

ათას ლარებში

თვე	**გამოშვება**		**წინა პერიოდში აღებული ვალდებულებების დაფარვა ***	**წმინდა ზრდა**
	ემისიის მოცულობა	**ბიუჯეტში შემოსული ძირითადი თანხა**		
იანვარი	124,500.0	119,969.2	83,643.6	36,325.6
თებერვალი	106,567.0	104,773.9	0.0	104,773.9
მარტი	107,417.0	105,683.9	18,992.6	86,691.3
სულ	**338,484.0**	**330,427.0**	**102,636.1**	**227,790.8**

* შენიშვნა: დაფარვები მოცემულია ძირითადი თანხების მიხედვით.

3. ვალდებულებების კლება 134 765.9ათასი ლარის ოდენობით განისაზღვრა.

ათას ლარებში

ვალდებულებების კლება	3 თვის გეგმა	3 თვის საკასო შესრულება
	141,826.3	134,765.9
საშინაო	18,236.0	14,529.5
ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	5,000.0	5,000.0
სესხები	3,068.6	346.8
სხვა კრედიტორული დავალიანებები	10,167.4	9,182.7
საგარეო	123,590.3	120,236.5
სესხები	120,590.3	119,161.9
სხვა კრედიტორული დავალიანებები	3,000.0	1,074.6

საქართველოს სახელმწიფო ვალი

2014 წლის 1 აპრილის მდგომარეობით საქართველოს სახელმწიფო ვალმა შეადგინა 9 490.0 მლნ ლარი, მათ შორის:

- ✓ სახელმწიფო საშინაო ვალის მთლიანი მოცულობა შეადგენს 2 245.7 მლნ ლარს, მათ შორის: ეროვნული ბანკისათვის განკუთვნილი ერთწლიანი ყოველწლიურად განახლებადი სახელმწიფო ობლიგაცია („ობლიგაცია სებ-ისთვის“) – 440.8 მლნ ლარი, სხვადასხვა ვადის მქონე სახელმწიფო ობლიგაციები ღია ბაზრის ოპერაციებისათვის („ობლიგაციები ღია ბაზრისთვის“) - 162.0 მლნ ლარი, ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებები - 244.2 მლნ ლარი, ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციები - 726.3 მლნ ლარი, სხვა სავალო ვალდებულებები (ისტორიული ვალი) - 672.3 მლნ ლარი;

- ✓ სახელმწიფო საგარეო ვალმა შეადგინა 7 244.3 მლნ ლარი.

ათას ლარებში

კრედიტორი	**საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის საგარეო ვალის მოცულობა 2014 წლის 1 აპრილის მდგომარეობით**
სულ საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალი	**7,244,331.3**
მთავრობის საგარეო ვალი	**7,099,170.4**
მრავალმხრივი კრედიტორები	**4,823,106.6**
მსოფლიო ბანკი, განვითარების საერთაშორისო ასოციაცია (IDA)	2,372,294.8
მსოფლიო ბანკი, რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი (IBRD)	696,174.2
სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი (IFAD)	46,659.4
საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF)	339,350.5
ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD)	194,517.0
აზიის განვითარების ბანკი (ADB)	829,963.8
ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB)	344,146.9
ორმხრივი კრედიტორები	**1,396,918.6**
ავსტრია	26,233.1
აზერბაიჯანი	20,954.0
თურქმენეთი	368.9
თურქეთი	40,053.9
ირანი	16,363.6
რუსეთი	172,212.3
სომხეთი	24,848.5
უზბეკეთი	512.1
უკრაინა	467.7
ყაზახეთი	48,540.6
ჩინეთი	7,596.7
გერმანია	607,120.6
იაპონია	210,371.5
კუვეიტი	36,592.2
ნიდერლანდები	3,403.2
ამერიკა	53,372.8
საფრანგეთი	127,906.9

კრედიტორი	საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის საგარეო ვალის მოცულობა 2014 წლის 1 აპრილის მდგომარეობით
ფასიანი ქაღალდები	**873,850.0**
ევროობლიგაცია	873,850.0
გარანტირებული კრედიტები	**5,295.2**
გერმანია	5,295.2
საქართველოს ეროვნული ბანკის საგარეო ვალი	**145,161.0**
საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF)	145,161.0